2026

სსიპ კოლეჯი

მოდუსი

კატალოგი

www.modusi.ge

მოდუსის ისტორია

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“ არის ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედი ერთადერთი სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ხელს უწყობს რეგიონის შრომითი პოტენციალის გაუმჯობესებას და სწავლით დაინტერესებულ პირებში პროფესიული უნარების განვითარებას.

სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსის“ ისტორია იწყება 1958 წლიდან. ამ პერიოდიდან ფუნქციონირებდა სახელობო სასწავლებელი, რომელიც მდებარეობდა ქალაქ რუსთავში, ბოსტანქალაქის ქუჩაზე. 1975 წელს სასწავლებელს, იურიდიულ მისამართთან ერთად შეეცვალა სტატუსი - მოიაზრებოდა, როგორც მეტალურგიული ქარხნის საბაზო სასწავლებლი და უშვებდა იმ პროფესიის სპეციალისტებს, რომელსაც საჭიროებდა თავად მეტალურგიული ქარხანა. 1987 წელს ის გამოეყო მეტალურგიის ქარხანას და დაერქვა ქ.რუსთავის მე – 3 პროფესიული სასწავლებელი.

2005 წელს სასწავლებელს კვლავ შეეცვალა იურიდიული სტატუსი და გახდა ქ. რუსთავის პროფესიული „ლიცეუმი“, ხოლო 2007 წლიდან 2008 წლამდე ფუნქციონირებდა, როგორც „ქ. რუსთავის „პროფესიული მომზადების ცენტრი“. 2006 - 2007 წლებში განხორციელდა პროფესიული მომზადების ცენტრის სრული რეაბილიტაცია და მისი აღჭურვა თანამედროვე მოწყობილობა-დანადგარებით. ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად დაემატა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები. 2008 წელს სასწავლებელს მიენიჭა პროფესიული კოლეჯის სტატუსი, ხოლო ამჟამად ცნობილი სახელწოდებით – „სსიპ კოლეჯი მოდუსი”- იგი ოპერირებს ქალაქ რუსთავში 2019 წლის 6 მარტიდან.

2014 წელს კოლეჯმა გაიარა პირველი ინტიტუციური ავტორიზაცია არსებული ფართის ფარგლებში, როგორც „პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ“ და მას შემდეგ ყოველწლიურად იმატებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს სხვადასხვა მიმართულებით.

ქ. რუსთავის ლოკაციაზე კოლეჯის მფლობელობაშია ოთხი ძირითადი შენობა-ნაგებობა, მათ შორის უშუალოდ საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება სამ კორპუსში - A და C სასწავლო კორპუსებში და B – სასწავლო საამქროში.

2019 წლიდან დღემდე ქ. რუსთავში არსებული „სსიპ კოლეჯი მოდუსის“ საგანმანათლებლო სივრცე ყოველწლიურად ემსახურება ჯამში 600-ზე მეტ პროფესიულ სტუდენტსა და მსმენელს. 2021 წლიდან კოლეჯის მფლობელობაში გადავიდა თანამედროვე ტიპის სამსართულიანი შენობა–ნაგებობა ახალ ლოკაციაზე ქალაქ მარნეულში, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა კოლეჯის საქმიანობის არეალი და დღეის მონაცემებით კოლეჯში „მოდუსი მარნეული“ ხორციელდება შვიდი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 150–მდე_პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისთვის.

2024 წლის მონაცემებით კოლეჯი „მოდუსი“ სრულფასოვნად ოპერირებს ქვემო ქართლის რეგიონის ორ ლოკაციაზე რუსთავსა და მარნეულში და ორივე ლოკაციაზე ჯამში ახორციელებს ოცდაოთხი დასახელების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის ოთხი საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის საგანმანათლებლო პროგრამაა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (ე.წ. ინტეგრირებული პროგრამა).

კოლეჯი ასევე აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმართულებით, რასაც ადასტურებს სხვადასხვა სფეროში მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების და სასწავლო კურსების შემუშავება და განხორციელება. (13 მომზადება/გადამზადების სახელმწიფო სასერთიფიკატო პროგრამა და 7 არაფორმალური განათლების შიდა სასერტიფიკატო კურსი).

მისია, ხედვა, მიზანი და ღირებულებები

კოლეჯის მისია:

კოლეჯის მისიაა ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიონალების მომზადება მრავალპროფილური, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლების მიწოდების გზით.

კოლეჯის ხედვა:

კოლეჯის ხედვაა, რომ მოდუსი იყოს ქვემო ქართლის რეგიონის ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული განათლების მიმართულებით, რომელიც განვითარებაზე ორიენტირებული, მოქნილი შიდა სისტემით, სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვით, უზრუნველყოფს შრომის ბაზრისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებასა და მათი კარიერული განვითარების მხარდაჭერას.

კოლეჯის მიზანი:

კოლეჯის მიზანია რეგიონში სამოქმედო არეალის გაფართოება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გამრავალფეროვნება, თანამედროვე სწავლების მეთოდების, მაღალკვალიფიციური პერსონალის და არსებული მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე, პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისათვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც იქნება ყველა პირობა პროფესიისთვის აუცილებელი ცოდნის მისაღებად პრაქტიკული უნარჩვევების გამოსამუშავებლად, რაც თითოეულ პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს მისცემს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა და დასაქმების საშუალებას. ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ თვითრეალიზაციას და საზოგადოებაში დამკვიდრებას.

ღირებულებები

თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა

პროფესიონალიზმი

სიახლეებზე ორიენტირება

შრომის ბაზრისა და დაინტერესებულ პირთა ჩართულობაზე ორიენტირება

ინკლუზიური მიდგომა და არადისკრიმინაცია

გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მართვა

პარტნიორი ორგანიზაციები

M agro

სეზონი

maisuri.ge

ქალაქი გოლი

MR.MASTER

RUSALLOYS

Basalt fibers
GREEN REINFORCEMENT

NAMZE

ვაგონშენებელი ქომპანია
CARRIAGE BUILDING COMPANY
VMK

RUSTAVI FASHION STUDIO

ამბოლი

ნოვა

სანა კოლექტი
მოდესი

პარტნიორი ორგანიზაციები

CONSTRUCTION
- SINCE 1969 -

DOMSON'S
ENGINEERING

თბილისი
გარდენს

GCG
Georgian Construction Group

CGC
სიხილი

ისთ ფოინთი
სავაჭრო & გასართობი ქალაქი

GT
MOTORS

ISCR
INTERNATIONAL SCOUT CENTRE RUSTAVI

ალვანი

gwp

სასა კოლეჯი
მოდესი

პარტნიორი ორგანიზაციები

KARMEN

უნი მოტორსი
UNI MOTORS
@:Ltdunimotors@gmail.com
MOB:+995577927474
MOB:+995577947070

ნიკორა
სუპერმარკეტი

რუსთავის
აზოტი
Rustavi
AZOT

ქერა
ხაოსანი საშნარეული

SOLO

ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT

რუსთავის
მეტალურგიული
ქარხანა
1948 წლიდან

კოლეჯს აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან

- ფ.პ. ედუარდ ბარსეგიანი
- შპს ,,ავტო ლაბ"
- შპს „ავტოტექნო"
- ი.მ. არჩილ მიქიაშვილი
- ი.მ. თეიმურაზ შიხიაშვილი
- ფ.პ. ზურაბ მჭედლიშვილი
- შპს „უნი მოტორსი"
- შპს „ამბოლი"
- სს „გრინვეი საქართელო"
- ა(ა)იპ რუსთავსერვის ცენტრი
- შპს „არ სი ქონსთრაქშენ"
- შპს ჯისიჯი / CGC*
- შპს ,,ბილდმორი"
- შპს „დომსონ ინჯინიარინგი"
- შპს „ვაგონმშენებელი კომპანია"
- შპს „კონსტრუქცია"
- შპს „რეტკო"
- შპს „404"
- ააიპ „რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანება"
- შპს „სთეინლესი"
- სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია"
- სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
- რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო
- შპს „ატომ ელექტრონიქსი"
- შპს „ბი ემ ქეი პარტნერს"
- შპს „იდეოვაის"
- შპს „ინტეგრალ"
- შპს „ქიდსოფისი"
- შპს ,,სმარტ კონსულტაცია"
- შპს „ჰირო"
- შპს ,,სეპალს სალონი"
- შპს „გვირილა"
- ი.მ. ეკა ხიდაშელი
- ი.მ. ია აბაზაშვილი
- ი.მ. ნინო ნარსია
- ი.მ. ნათია გონგლიაშვილი
- შპს ,,გასტრონომი"
- შპს ,,გრანდ ვეჯინი"
- შპს ,,დელფუდი
- შპს ,,კაფე ასკილი"
- ფ.პ. ნუგზარ ძნელაშვილი
- შპს „თინათინ მაღალაშვილი"

კოლეჯს აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან

- შპს მოდელების სახლი მატერია
- ფ.პ. მაკა სურამლიშვილი
- შპს „გაქე" შპს „ბაჩურა"
- შპს Rustavi Fashion Studio
- ააიპ „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)"
- ააიპ სუფთა მარნეული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
- შპს აგროსისტემები
- შპს მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი
- ი.მ ნაირა ბოლქვაძე
- ი.მ. ნესტან ფუტკარაძე
- ი.მ. ციცინო ბოლქვაძე
- ი.მ. ხათუნა ბოლქვაძე
- ფ.პ. დავით ჩხიტუნიძე
- ფ.პ. ალექსანდრე ვაშაკიძე
- შპს „მარნეული აგრო"
- შპს „მარნეული მოლი"
- შპს „ჯულია"
- ი.მ. ეკატერინე გაგნიძე
- ი.მ. ელდარ კარაევი
- ი.მ. მაგსუდ შარაევი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები

სსიპ კოლეჯი მოდუსი ახორციელებს **18** სხვადასხვა დასახელებისა და დონის (III,IV,V) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას (რუსთავი, მარნეული), რომელთა წარმატებით დასრულების შემდეგ, პროფესიულ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და გაიცემა სახელმწიფო დიპლომი.

კოლეჯი ასევე ახორციელებს ოთხ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (**3** რუსთავი, **1** მარნეული) და გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი ისეთი დიპლომი, რომელიც უთანაბრდება სრული ზოგადი განათლების ატესტატს;

კოლეჯში ხორციელდება **13**-ზე მეტი დასახელების მომზადებისა და გადამზადების პროგრამა, (რუსთავი, მარნეული), რომელთა წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი იღებს სახელმწიფო სერტიფიკატს. გარდა ამისა, კოლეჯი ახორციელებს არაფორმალური განათლების შიდა სასერტიფიკატო კურსებს, წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი იღებს სსიპ კოლეჯი მოდუსის სერტიფიკატს.

სსიპ კოლეჯი მოდუსის მიერ შეთავაზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და სასერთიფიკატო სასწავლო კურსების შესახებ განახლებული ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ კოლეჯის ვებ.გვერდზე www.modusi.ge და / ან კოლეჯის ფეისბუქ გვერდზე: https://www.facebook.com/modusi.ge

სსიპ კოლეჯი
მოდუსი

მოდის ტექნოლოგია და დიზაინი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში;
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	18 თვე /კრედიტები 90 /ქართული ენის მოდულით 120/
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება
განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, ჟ.შარტავას N4; ქ.მარნეული, იალღუჯის დასახლება.
პროგრამის მიზანი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას.
კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები	მოდის ტექნოლოგ-დიზაინერი შეიძლება დასაქმდეს: მოდის დიზაინის კომპანიებში, დიდი, საშუალო და მცირე სიმძლავრის სამკერვალო საწარმოებში ან/და იყოს თვითდასაქმებული (ინდივიდუალური კერვა; ინდივიდუალური მეწარმეობა; კერძო/ მცირე ბიზნესი)

მოდის ტექნოლოგია და დიზაინი

სწავლის შედეგი – საბაზო კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:	უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო ადგილის ორგანიზება და გაეცნოს მოდელს; შექმნას ესკიზი; შეარჩიოს სამკერვალო ნაწარმის დამზადებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალები; ტექნოლოგიურად დაამუშაოს სამკერვალო ნაწარმის დეტალები; გამოიყენოს სამკერვალო ნაწარმის დამზადებისათვის საჭირო სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო მანქანები და თბურ-დანამვითი დამუშავების მოწყობილობები; ააგოს სამკერვალო ნაწარმის კონსტრუქციული ნახაზი; გამოჭრას და შეკეროს სამკერვალო ნაწარმი;

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი ორენოვანი (ქართული, ინგლისური) დიპლომი

Front-end დეველოპმენტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	12 თვე / კრედიტები 60 /ქართული ენის მოდულით 90/
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება
განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, ჟ.შარტავას N4;
პროგრამის მიზანი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას
კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები	შექმნას ვებ გვერდის მომხმარებლის ინტერფეისი; ვებ გვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება, ვებ გვერდის სტილიზაცია Sass/scss პრე პროცესორის და Tailwind ფრეიმვორკის გამოყენებით, შექმნას ინტერაქტიული ვებ გვერდი; ვებგვერდის ინტერაქტიულობისა და ეფექტების შექმნა JavaScript-ის საშუალებით, დინამიური ვებგვერდის შექმნა typescript-ის საშუალებით, ვებგვერდის ინტერაქტიულობისა და ეფექტების შემუშავება React-ის საშუალებით, განახორციელოს ვებ გვერდის ოპტიმიზაცია, განახორციელოს ვებ პროექტის ვერსიების კონტროლი; გამოიყენოს ხელოვნური ინტელექტი; უზრუნველყოს საკუთარი პროფესიული განვითარება.

Front-end დეველოპმენტი (ინტეგრირებული)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	24 თვე / კრედიტები 88/ქართული ენის მოდულით 118/
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაზო განათლება
განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, ჟ.შარტავას N4;
პროგრამის მიზანი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას
კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები	შექმნას ვებ გვერდის მომხმარებლის ინტერფეისი; ვებ გვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება, ვებ გვერდის სტილიზაცია Sass/scss პრე პროცესორის და Tailwind ფრეიმვორკის გამოყენებით, შექმნას ინტერაქტიული ვებ გვერდი; ვებგვერდის ინტერაქტიულობისა და ეფექტების შექმნა JavaScript-ის საშუალებით, დინამიური ვებგვერდის შექმნა typescript-ის საშუალებით, ვებგვერდის ინტერაქტიულობისა და ეფექტების შემუშავება React-ის საშუალებით, განახორციელოს ვებ გვერდის ოპტიმიზაცია, განახორციელოს ვებ პროექტის ვერსიების კონტროლი; გამოიყენოს ხელოვნური ინტელექტი; უზრუნველყოს საკუთარი პროფესიული განვითარება.

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი ორენოვანი (ქართული, ინგლისური) დიპლომი

მეხილეობა (ინტეგრირებული)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურწეობაში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	36 თვე / 148 კრედიტი (ქართული ენის მოდულით 178 კრედიტი)
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაზო განათლება
განხორციელების ადგილი	ქ.მარნეული, იალღუჯის დასახლება
პროგრამის მიზანი	სოფლის მეურნეობის სფეროსთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, რომელიც შეძლებს წარმატებით დასაქმდეს მეხილეობის მიმართულებით აწ გააშენოს ხეხილის ბაღი და გახდეს თვითდასაქმებული.
კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები	საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს სოფლის მეურწეობაში მეხილეობის მიმართულებით შეუძლია დასაქმდეს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ ორგანიზაციებში, აგრეთვე შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული, გააშენოს ხეხილის ბაღი და მართავდეს საკუთარ მეურნეობას.
სწავლის შედეგი - საბაზო კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:	მონაწილეობის მიღება საბაღე ფართობის ტერიტორიულ მოწყობაში; ნიადაგის შეფასება და დამუშავება; ხეხილოვანი კულტურების სარგავი მასალის წარმოება; ხეხილის სხვლა-ფორმირების უზრუნველყოფა; ხეხილის დაცვა; მოსავალის აღება; ფერმერული მეურნეობის მართვა; პროდუქტის პირველადი მიღება-რეალიზების დაგეგმვა და განხორციელება.

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი ორენოვანი (ქართული, ინგლისური) დიპლომი

მოდული

მეხილეობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურწეობაში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	18 თვე / 90 კრედიტი (ქართული ენის მოდულით 120 კრედიტი)
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება
განხორციელების ადგილი	ქ.მარნეული, იალღუჯის დასახლება
პროგრამის მიზანი	სოფლის მეურნეობის სფეროსთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, რომელიც შესძლებს წარმატებით დასაქმდეს მეხილეობის მიმართულებით ან გააშენოს ხეხილის ბაღი და გახდეს თვითდასაქმებული.
კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები	საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს სოფლის მეურნეობაში მეხილეობის მიმართულებით შეუძლია დასაქმდეს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ ორგანიზაციებში, აგრეთვე შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული, გააშენოს ხეხილის ბაღი და მართავდეს საკუთარ მეურნეობას.
სწავლის შედეგი - საბაზო კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:	მონაწილეობის მიღება საბაღე ფართობის ტერიტორიულ მოწყობაში; ნიადაგის შეფასება და დამუშავება; ხეხილოვანი კულტურების სარგავი მასალის წარმოება; ხეხილის სხვლა-ფორმირების უზრუნველყოფა; ხეხილის დაცვა; მოსავალის აღება; ფერმერული მეურნეობის მართვა; პროდუქტის პირველადი მიღება-რეალიზების დაგეგმვა და განხორციელება.

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი ორენოვანი (ქართული, ინგლისური) დიპლომი

ᲛᲝᲓᲣᲚᲘ

შედუღება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	17 თვე / 87 კრედიტი (ქართული ენის მოდულით 117 კრედიტი)
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება
განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, ჟ.შარტავას N4;
პროგრამის მიზანი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას.
კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები	დაიცვას გარემო და შრომის უსაფრთხოება, შეასრულოს სამუშაო შედგენილი ნახაზით, შეასრულოს ხელით ელექტრორკალური შედუღება შეასრულოს ნახევრადავტომატური ელექტრორკალური შედუღება აქტიურ (MAG) და ინერტულ (MIG) აირებში, შეასრულოს არგონში ვოლფრამის უდნობი ელექტროდით შედუღება, შეასრულოს ნახშირბადიანი საკონსტრუქციო ფოლადების შედუღება, შეადუღოს ლეგირებული ფოლადები, შეადუღოს ფერადი ლითონები, შეადუღოს პლასტმასები, შეადუღოს კონსტრუქციები, დაამუშაოს ლითონები თერმულად, გაარჩიოს შედუღების მასალები და მათი მახასიათებლები, მოამზადოს მასალები შედუღების პროცესისთვის გამოიყენოს შედუღების ტექნოლოგია, უზრუნველყოს ხარისხი შენადუღ შეერთებაში, შეასრულოს ელექტრორკალური შედუღება ფლუსის საფარის ქვეშ

ელექტროობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	12 თვე / 66 კრედიტი (ქართული ენის მოდულით 81 კრედიტი)
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაზო განათლება
განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, ჟ.შარტავას N4; ქ.მარნეული, იალღუჯის დასახლება.
პროგრამის მიზანი	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კვალიფიციური კადრების მომზადება ელექტროობაში.
კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები	ელექტროობის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ელექტროკოსი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტროდანადგარების მომსახურედ: მემონტაჟე ელექტრიკოსად, შენობის ელექტრიკოსად, გამანაწილებელი ქსელის ელექტრიკოსად, ელექტრო-მექანიკოსად, ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების ელექტრიკოსად, ელექტროენერგიის გამომმუშავებელი სადგურების ელექტრიკოსად.

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი ორენოვანი (ქართული, ინგლისური) დიპლომი

სხვა კოლეჯი
მოდუსი

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები	12 თვე / 55 კრედიტი (ქართული ენის მოდულით 70 კრედიტი)
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაზო განათლება
განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, ჟ.შარტავას N4; ქ.მარნეული, იალღუჯის დასახლება.
პროგრამის მიზანი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა.



ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი პროფილის და ზომის ორგანიზაციაში.
სწავლის შედეგი - საბაზო კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:	უზრუნველყოს კომპიუტერის აპარატურული მხარდაჭერა (Hardware); უზრუნველყოს კომპიუტერის პროგრამული მხარდაჭერა (Software); იმუშაოს მობილურ, Linux და Windows Server ოპერაციულ სისტემებთან; გამართოს პერიფერიული მოწყობილობები; დაამონტაჟოს და გამართოს მცირე ზომის კომპიუტერული ქსელი; დაამონტაჟოს და გამართოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები; უზრუნველყოს კომპიუტერულ სისტემებში გაუმართაობების იდენტიფიცირება აღმოფხვრა; უზრუნველყოს კომპიუტერული სისტემების მხარდაჭერა სამუშაო ადგილზე და დისტანციურ რეჟიმში.

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი ორენოვანი (ქართული, ინგლისური) დიპლომი

სსიპ კოლეჯი
მოდუსი

2026 წელს იგეგმება შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება

- მებაღეობა
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული)
- კულინარიის ხელოვნება
- მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება
- მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება
- მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტროუნილი სისტემების შეკეთება
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვა
- თმის მომსახურება
- მებოსტნეობა
- აღმზრდელი
- ბუღალტრული აღრიცხვა

მოკლევადიანი პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამები

ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა

პროგრამის სახე - მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე — მეოთხე

დაშვების წინაპირობა –სრული ზოგადი განათლება

სწავლის ხანგრძლივობა – 15 კვირა

კურსის ღირებულება – ფინანსდება სახელმწიფოს მიერ

განხორციელების ადგილი – ქ. რუსთავი. ჟ. შარტავას გამზ.N4; ქ.მარნეული, იალღუჯის დასახლება

პროგრამის აღწერილობა

პროფესიული მომზადების პროგრამა „ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება და კერვა „ შედგენილია ქვემო ქართლის რეგიონის დამსაქმებლების, კერძოდ, სამკერვალო სახელოსნოების საჭიროებების გათვალისწინებით და მათთან თანამშრომლობით. კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმებას კოლეჯის პარტნიორ კომპანიაში ან ნებისმიერ დიდ, საშუალო თუ მცირე სიმძლავრის სამკერვალო საწარმოში ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის მკერავისა და კონსტრუქტორის საწყის პოზიციაზე. სადაც ის შეძლებს ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება - მოდელირების სამუშაოების შესრულებას, ასევე თარგის აგებას, მასალაზე გადატანას, გამოჭრას, დაგვირისტებას და შეკერვას . • პროგრამა შედგენილია ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (პროფესიული სტანდარტი) -„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ სამი პროფესიული მოდულის 14 შედეგის საფუძველზე და მოიცავს 6 შედეგს. სწავლება მიმდინარეობს 20 კვირა (კვირაში 15 სთ) საბოლოო პრაქტიკული შედეგის დადასტურებისთვის მსმენელი წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში შესრულებული დავალებების პორტფოლიოს და პრეზენტაციის სახით აღწერს მინიმუმ ერთ შესრულებულ პრაქტიკულ ნამუშევარს.

პროფესიული მომზადების პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი

პროგრამის სახე - მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე — მესამე

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

სწავლის ხანგრძლივობა – 28 კვირა, 297 საკონტაქტო საათი

კურსის ღირებულება – ფინანსდება სახელმწიფოს მიერ

განხორციელების ადგილი – ქ. რუსთავი. ჟ. შარტავას გამზ.N4

პროგრამის აღწერილობა

პროფესიული მომზადების პროგრამაზე“ ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ სწავლა შეუძლია საბაზო განათლების მქონე პირებს, რომლებსაც სურთ მოკლე დროში შეიძინონ ჰიდროელექტროსადგურის (ჰესი) ექსპლუატაციის სპეციფიური ცოდნა/უნარები და აპირებენ დასაქმდნენ ამ სფეროში. პროგრამის მიზანია, ჰიდროელექტროსადგურების მოთხოვნების გათვალისწინებით, მოამზადოს კვალიფიციური კადრები, რომელიც მიიღებს ცოდნას და გამოუმუშავდება პრაქტიკული უნარები. კერძოდ. მსმენელები გაეცნობიან ელექტრო ენერგეტიკულ სისტემებს, ჰიდროელექტროსადგურების მუშაობას, შეძლებენ ჰესზე მუშაობისას უსაფრთხოების ნორმების დაცვას, ჰიდრავლიკური კონსტრუქციებისა და ჰიდრომექანიკური აღჭურვილობის და ელექტრომოწყობილობის განსაზღვრას, ჰესზე ოპერირებას თეორიული კომპონენტი განხორციელდება დაწესებულებაში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი ჰესზე. პროგრამის ხანგრძლივობაა 28 კვირა. მსმენელების შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება დაგეგმილია ყოველი სწავლის შედეგის დასრულებისას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება მე-17 კვირას პირველი-მეხუთე სწავლის შედეგის შეფასება, ხოლო პროგრამის დასრულების შემდეგ მეექვსე-მერვე სწავლის შედეგის შეფასება. თეორიული კომპონენტი შეფასდება -გამოკითხვით (ტესტირება), ხოლო პრაქტიკული კომპონენტის შეფასება განხორციელდება — პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

მაღალტემპერატურული ტექნოლოგიების ოპერატორი

პროგრამის სახე - მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე — მეოთხე

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება ; ასაკი – 18 წელი

სწავლის ხანგრძლივობა – 8 კვირა, 80 სთ საკონტაქტო საათი

კურსის ღირებულება – ფინანსდება სახელმწიფოს მიერ

განხორციელების ადგილი – ქ. რუსთავი. ჟ. შარტავას გამზ.N4

პროგრამის აღწერილობა

პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლიათ 18 წლის ასაკს მიღწეულს საბაზო განათლების მქონე პირებებს. პროგრამის ფარგლებში მსმენელი შეისწავლის ბაზალტის ქვიდან უწყვეტი ბოჭკოს მიღების ინოვაციური ტექნოლოგიის თავისებურებებს, გაეცობა ტექნოლოგიების ოპერატორის მოვალეობებს, შეძლებს გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვით ბაზალტის ნედლეულის მომზადებას ტექნოლოგიურ ხაზზე მისაწოდებლად, პერიფერიული ტექნოლოგიური და ბაზალტის ძაფის გამომუშავების კვანძების მართვას. სწავლა განხორციელდება კოლეჯ „მოდუსის“ კეთილმოწყობილ აუდიტორიებში, ასევე რეალურ გარემოში -კომპანია “Basalt Fibers"-ში. მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ისე პრაქტიკული უნარების განვითარება, თუმცა ძირითადი აქცენტი პრექტიკულ სწავლებაზეა გაკეთებული. ლექციები ინტერაქტიულ ფორმატში ჩატარდება; ფართოდ იქნება გამოყენებული პრეზენტაციები, ვიდეო ჩვენება; სასწავლო მასალების დემონსტრირება. პროგრამის მსმენელების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება - ტესტები, ზეპირი გამოკითხვა, პრაქტიკული დავალებები, მსმენელების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვება. მიმდიწარე (განმავითარებელი შეფასება) პრაქტიკულად ყოველ მეცადინეობაზე განხორციელდება, განმსაზღვრელი შეფასება (გამოცდა) ჩატარდება სწავლის ბოლოს, რომლიც დროსაც შეფასდება მსმენელების თეორიულ ცოდნა და პრაქტიკული უნარები. პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები შეუწყობს ხელს კურსდამთავრებულების დასაქმებას ნებისმიერ კომპანიაში, სადაც საჭიროა მაღალტემპერატურული ტექნოლოგიების გამოყენებით სასაქონლო პროდუქტის მიღება.

პროფესიული მომზადების პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

თმის შეჭრა და ვარცხნილობები

პროგრამის სახე - გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე — მესამე

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

სწავლის ხანგრძლივობა – 8 კვირა, 145 საკონტაქტო საათი

კურსის ღირებულება – ფინანსდება სახელმწიფოს მიერ

განხორციელების ადგილი – ქ. რუსთავი. ჟ. შარტავას გამზ.N4

პროგრამის აღწერილობა

„თმის შეჭრა და ვარცხნილობები" არის მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა, რომელზეც სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები თმის შეჭრის და ვარცხნილობების გაკეთების მიმართულებით. ასევე გაიაროს პრაქტიკა და დასაქმდეს პარტნიორ სალონში ან ნებისმიერი სხვა სალონში სტილისტის პოზიციაზე.

სწავლება განხორციელდება პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით. გამოყენებული იქნება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები. ინტერაქტიულ ლექცია, პრეზენტაციები, ვიდეო ჩვენება; სასწავლო მასალების დემონსტრირება. პროგრამის მსმენელების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება, ტესტები, ზეპირი გაამოკითხვა, პრაქტიკული დავალებები, ქეისების (შემთხვევების) ანალიზი, მსმენელების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვება. მიმდინარე (განმავითარებელი შეფასება) პრაქტიკულად ყოველ მეცადინეობაზე განხორციელდება, განმსაზღვრელი შეფასება (გამოცდა) ჩატარდება სწავლის ბოლოს, რომლიც დროსაც შეფასდება მსმენელების თეორიულ ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

სსიპ კოლეჯი მოდუსი

ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი

პროგრამის სახე - გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე — მეოთხე

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

სწავლის ხანგრძლივობა – 12 კვირა, 192 საკონტაქტო საათი

კურსის ღირებულება – ფინანსდება სახელმწიფოს მიერ

განხორციელების ადგილი – ქ. რუსთავი. ჟ. შარტავას გამზ.N4

პროგრამის აღწერილობა

პროფესიული გადამზადების პროგრამა „ ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“ შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს ლიფტების ტექნიკურ და სამრეწველო ექსპლუატაციას. აღწიშნული მიმართულებით საჭირო უნარებისა და კომპეტენციების კვალიფიციური ლიფტების ტექნიკოსისთვის/ელ.მექანიკოსისთვის გადამზადებას.

პროგრამის მსმენელი შეძლებს ლიფტების ტექნიკურ და სამრეწველო ექსპლუატაციას, მზა დეტალებისგან კვანძების და ნაკეთობების დაშლა-აწყობას, ნაკეთობების გამართვას, რეგულირებას, გაშვებას, რემონტს და მოდერნიზაციას, მწყობრიდან გამოსული დეტალების, კვანძების, მექანიზმების აღდგენას, დიაგნოსტიკას და გამოცდას, მათ შემდგომ ექსპლუატაციას.

პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებულია თეორიული ცოდნის შეძენა და პრაქტიკული უნარების განვითარება, თუმცა ძირითადი აქცენტი პრაქტიკულ სწავლებაზეა გაკეთებული. ხოლო ლექციები ინტერაქტიული ფორმით ჩატარდება. პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება ტესტები/ზეპირი გამოკითხვა და პრაქტიკულ დავალებებზე დაკვირვება. მიმდინარე (განმავითარებელი შეფასება) პრაქტიკულად ყოველ მეცადინეობაზე განხორციელდება, განმსაზღვრელი შეფასება (გამოცდა) ჩატარდება სწავლების ბოლოს, რომლის დროსაც შეფასდება მსმენელების თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

სააღმზრდელო პროცესების წარმართვა სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში

პროგრამის სახე - გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე — მეხუთე

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება ; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესში მონაწილედ მუშაობის არანაკლებ 6 თვის სამუშაო გამოცდილება

სწავლის ხანგრძლივობა – 12 კვირა, 192 საკონტაქტო საათი

კურსის ღირებულება – ფინანსდება სახელმწიფოს მიერ

განხორციელების ადგილი – ქ. რუსთავი. ჟ. შარტავას გამზ.N4

პროგრამის აღწერილობა

მოკლევადიანი გადამზადების პროგრამა "სააღმზრდელო პროცესების წარმართვა სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში" შედგენილია ქვემო ქართლის რეგიონის დამსაქმებლების, კერძოდ, ქ. რუსთავის ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანების მოთხოვნის გათვალისწინებით და მათთან თანამშრომლობით.

პროგრამის მიზანია მსმენელების გადამზადება დარგში არსებული სტანდარტების შესაბამისად. პროგრამის მსმენელი შეისწავლის ადრეული სკოლამდელი განათლების არსს, მნიშვნელობას, შეძლებს ადრეული და სკოლამდელი განათლების საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირებას, ასევე გაეცნობა თამაშის მნიშვნელობას და როლს ბავშვის განვითარებაში; შეისწავლის განვითარების თეორიების მახასიათებლებს ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისად; შეძლებს ბავშვზე დაკვირვებას და მონაცემთა შეგროვებას არაფორმალური მეთოდებით; შეძლებს ბავშვის და პროგრამის შეფასებას, დოკუმენტირებას, პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას, რაც დაეხმარება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის წარმართვისას თანამედროვე მიდგომების გამოყენებაში. კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ქვემო ქართლის რეგიონის მასშტაბით მოქმედ ნებისმიერ (საჯარო, კერძო) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასი აღმზრდელის თანაშემწის პოზიციაზე.

პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა

პროგრამის სახე - გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე — მეოთხე

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება, სპეციალური _ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან მუშაობის მინიმუშ 1 წლიანზ გამოცდილება

სწავლის ხანგრძლივობა – 10 კვირა, 188 საკონტაქტო საათი

კურსის ღირებულება – ფინანსდება სახელმწიფოს მიერ

განხორციელების ადგილი – ქ. რუსთავი. ჟ. შარტავას გამზ.N4

პროგრამის აღწერილობა

მოკლევადიანი გადამზადების პროგრამა „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა“ შედგენილია ქვემო ქართლის რეგიონის დამსაქმებლის, ააიპ „რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანების" საჭიროებების გათვალისწინებით და მათთან თანამშრომლობით; პროგრამის მიზანია მსმენელს შეასწავლოს ინკლუზიური განათლების ღირებულებები და პრინციპები, უსაფრთხო გარემოს მოწყობა; უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების სწავლების პროცესში; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიები; დამოუკიდებლობისა და ადაპტური ქცევის ხელშემწყობი აქტივობების განხორციელება, თემისა და ოჯახის ჩართულობის უზრუნველყოფის მნიშვნელობა; დაკვირვება, შეფასება და დოკუმენტაციის წარმოება. პროგრამა უზრუნველყოფს კვალიფიციური სპეციალისტის აღზრდას, რომელიც შეძლებს ადრეული განათლების და სკოლამდელ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობას; მსმენელთა პროფესიული გადამზადების მიზნით შექმნილი პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“ შედგენილია ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ 02117-პ. ექვსი პროფესიული მოდულისაგან; განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-9 კვირას. მსმენელთა შეფასება ხორციელდება ტესტირებითა და პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვებით. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში.

პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი

პროგრამის სახე - გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე — მეოთხე

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება,

სწავლის ხანგრძლივობა – 12 კვირა, 94 საკონტაქტო საათი

კურსის ღირებულება – ფინანსდება სახელმწიფოს მიერ

განხორციელების ადგილი – ქ. რუსთავი. ჟ. შარტავას გამზ.N4

პროგრამის აღწერილობა

ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟის (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი) პროფესიული გადამზადების პროგრამა საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს გაეცნოწ მზის სისტემების სხვადასხვა ტიპის დანადგარებს, მათი მონტაჟისა და ტექნიკური მომსახურების დროს აუცილებელ უსაფრთხოების წესებს, მზის ენერგიაზე მომუშავე ფოტოელექტრული სისტემების მოქმედების პრინციპებს, სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევისა და სამუშაოს ორგანიზების პრინციპებს. ასევე, პროგრამის ფარგლებში მსმენელები შეძლებენ მზის სისტემების დასამონტაჟებლად მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას, მათ მონტაჟს, შემოწმებას, შეკეთებას და ტექნიკურ მომსახურებას უსაფრთხოების წესების დაცვით. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება ინტერაქციული ლექციის, დემონსტრირებისა და პრაქტიკული მეცადინეობის გზით. პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება განმავითარებელი და გაწმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება ყოველ მეცადინეობაზე განხორციელდება, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება (გამოცდა) ჩატარდება პროგრამის ბოლოს, რომლის დროსაც შეფასდება მსმეწელების თეორიული ცოდნა (ტესტირება) და პრაქტიკული უნარები (პრაქტიკული დავალება დაკვირვებით). სწავლება განხორციელდება კოლეჯის მიერ პირისპირ სწავლების ფორმით, და სასწავლო ლაბორატორიებში/სახელოსნოში

პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

მოკლევადიანი პროფესიული კურსები

ნინო კოლეჯი
მოდული

საოფისე პროგრამები (Word, Excel, Power point, Internet)

სწავლის ხანგრძლივობა – 6 კვირა

კურსის ღირებულება – 125 ლარი

განხორციელების ადგილი – ქ.რუსთავი, ჟ.შარტავას გამზ. 4

დაშვების წინაპირობა — საბაზო განათლება

კურსის აღწერილობა

კურსის მიზანია მსმენელს შეასწავლოს IT ინსტრუმენტებისა და სისტემების გამოყენება, ტექსტური დოკუმენტის მომზადება, ელ ცხრილების მომზადება და კომუნიკაცია ელ. ფოსტის მეშვეობით, რათა სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ მან შესძლოს კომპიუტერული ტექნიკის მოხმარება (Windows), საბუთის შექმნა, დაფორმატება, შენახვა (Word), მარტივი ცხრილის შექმნა, ფორმულების გამოყენება (Excel), პრეზენტაციის მომზადება/წარდგენა (Power point) და ინფორმაციის მოძიება ქსელში, გაანალიზება, გამოყენება, გაგზავნა (Internet). კურსის განხორციელება შესაძლებელია როგორც სასწავლო გარემოში, ასევე (Online) ელექტრონული სწავლების მეთოდით დისტანციურად. საბოლოო შეფასებაზე მსმენელი ახდენს პრაქტიკული შედეგის დადასტურებას პეზენტაციის სახით, რომელშიც შედის პროგრამის ფარგლებში მსმენელის მიერ შესრულებული დავალებები.

კურსის სრულად ათვისების შემდეგ მსმენელი მიიღებს სსიპ კოლეჯი მოდუსის სერთიფიკატს

სსიპ კოლეჯი
მოდუსი

მასაჟის ზოგადი კურსი

სწავლის ხანგრძლივობა – 10 კვირა

კურსის ღირებულება – 450 ლარი

განხორციელების ადგილი – ქ.რუსთავი, ჟ.შარტავას გამზ. 4

დაშვების წინაპირობა – პროფესიული განათლების მიღება შეიძლება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის საფუძველზე, მინიმალური ასაკი 18 წელი.

კურსის აღწერილობა

მასაჟის სასერტიფიკატო კურსის ფარგლებში მსმენელი შეისწავლის ადამიანის ანატომიის ძირითად მონაცემებს (ძირითადი ცნებები და განმარტებები); მასაჟის ფიზიოლოგიურ საფუძვლებს; მასაჟის ზოგად პრინციპებს და ჰიგიენური საფუძვლებს; კლასიკური მასაჟის ტექნიკას და მასაჟის ილეთების მეთოდიკას : ხელსმა, გამოწურვა, თელვა , სრესა, მოძრაობა, დარტყმითი ილეთები; ზოგადი, სამკურნალო, ეგზოტიკური და კოსმეტიკური მასაჟი სახეები. კურსზე შეისწავლება სამკურნალო მასაჟი სქოლიოზი; ოსტეოქონდროზი; რადიკულიტი; კიფოზი; ლორდოზი; ტრავმატოლოგიური. სპა მასაჟი-თაფლის, (ანტიცელულიტური, წონის საკორექციო) მასაჟი; ქვის მასაჟი (მოსადუნებელი); სახის ნერვების დამამშვიდებელი მასაჟი. სახის კლასიკური და მოსადუნებელი მასაჟი, თაფლის მასაჟი სახის ფორების გასაწმენდად; სახის ნერვების დამამშვიდებელი მასაჟი. ბავშვთა მასაჟი სხვადასხვა დაავადების დროს ტერფმრუდობა; ბრტყელტერფიანობა; კისერმრუდობა; ქათმის გულმკერდი; დიზპლაზიები; სამკურნალო ფიზკულტურა (ვარჯიშები). კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სახის ავადმყოფობის მქონე პაციენტთა სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრებში: ჰოსპიტალურ, კონვალესცენტურ და პოსტკონვალესცენტურ ფაზაში. ასევე სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში: საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში, დისპანსერებში, სანატორიუმებში,სპორტულ გუნდებში, ბალეტისა და ცეკვის ანსამბლებში, ჰიგიენური პროფილის სალონებში, სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრებში,

კურსის სრულად ათვისების შემდეგ მსმენელი მიიღებს სსიპ კოლეჯი მოდუსის სერთიფიკატს

თმის ქიმიური დამუშავება

სწავლის ხანგრძლივობა – 6 კვირა (56 საკონტაქტო საათი)

კურსის ღირებულება – 800 ლარი

განხორციელების ადგილი – ქ.რუსთავი, ჟ.შარტავას გამზ. 4

დაშვების წინაპირობა – პროფესიული განათლების მიღება შეიძლება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის საფუძველზე, მინიმალური ასაკი 18 წელი.

კურსის აღწერილობა

მოკლევადიანი სასწავლო კურსი „თმის ქიმიური დამუშავება“ შედგენილია ქვემო ქართლის რეგიონის დამსაქმებლების საჭიროებების გათვალისწინებით და მათთან თანამშრომლობით.

კურსის მიზანია მსმენელს შეასწავლოს თმის ქიმიური დამუშავების მეთოდები და უსაფრთხოების წესების დაცვით შესაბამისი პრაქტიკული სამუშაოების შესრულება, კერძოდ, თმის შეღებვა, თმის ქიმიური და ბიო დახვევა, თმის ქიმიური გასწორება, თმის დაგრძელება და თმის გაღიავება - ქოლორისტიკა. სწავლება განხორციელდება პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით. გამოყენებული იქნება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია, პრეზენტაციები, ვიდეო ჩვენება, სასწავლო მასალების დემონსტრირება. პროგრამის მსმენელების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება, ტესტები, ზეპირი გამოკითხვა, პრაქტიკული დავალებები, ქეისების (შემთხვევების) ანალიზი, მსმენელების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვება.



კურსის სრულად ათვისების შემდეგ მსმენელი მიიღებს სსიპ კოლეჯი მოდუსის სერთიფიკატს

სსიპ კოლეჯი
მოდუსი

ელექტრიკოსი

სწავლის ხანგრძლივობა – 8 კვირა, 125 საათი

კურსის ღირებულება – 450 ლარი

განხორციელების ადგილი – ქ.რუსთავი, ჟ.შარტავას გამზ. 4

დაშვების წინაპირობა – საბაზო განათლება

კურსის აღწერილობა

კურსის მიზანია მსმენელს შეასწავლოს ზოგადი ელექტროტექნიკა და ელექტროტექნიკური გაზომვები, ელექტრომასალების და მარაგნაწილების შერჩევა. ასევე, მსმენელები პრაქტიკულად განახორციელებენ ელექტრო სამონტაჟო სამუშაოებს, თანამიმდევრულ, პარალელურ და შერეულ შეერთებებს, წრედის აწყობას.

კურსის დასრულების შემდეგ მსმენელს შეუძლია დასაქმდეს ელექტრიკოსად; ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟედ; მომმარაგებელ-ელექტრიკოსად; ელექტრო-მექანიკოსად; ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟედ; განათების სისტემების მემონტაჟედ; ხანძარსაწინააღმდეგო და დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟედ; ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟედ.

კურსის სრულად ათვისების შემდეგ მსმენელი მიიღებს სსიპ კოლეჯი მოდუსის სერთიფიკატს

სსიპ კოლეჯი
მოდუსი

შემდუღებელი

სწავლის ხანგრძლივობა – 8 კვირა, 125 საათი

კურსის ღირებულება – 450 ლარი

განხორციელების ადგილი – ქ.რუსთავი, ჟ.შარტავას გამზ. 4

დაშვების წინაპირობა – საბაზო განათლება

კურსის აღწერილობა

შედუღება წარმოადგენს ლითონებისა და სხვა მასალების დაუშლელ შეერთებას და არის ერთ-ერთ ძირითადი და შეუცვლელი ტექნოლოგიური პროცესი მძიმე მრეწველობაში. კურსის ფარგლებში მსმენელი შეისწავლის: შედუღებას, დადუღებას, რჩილვას, ჭრას, შეწებებას, დაფრქვევას. შედუღება ასევე გამოიყენება ტექნიკაში ფართოდ გამოყენებული არალითონური მასალების შეერთებაშიც.

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: კვალიფიცირებული შემდუღებლების დასაქმების სფეროებია: მანქანათმშენებლობა, ბინათმშენებლობა, თვითმფრინავმშენებლობა, გემთმშენებლობა, მაგისტრალური მილსადენების მშენებლობა, აირ-ნავთობის საცავების ობიექტების მშენებლობა, საქართველოს რკინიგზა, სარემონტო საწარმოები, მრეწველობის სხვა დარგები.

კურსის სრულად ათვისების შემდეგ მსმენელი მიიღებს სსიპ კოლეჯი მოდუსის სერთიფიკატს

სსიპ კოლეჯი
მოდუსი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი

- შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
- განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
- განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

- განმსაზღვრელ შეფასებაზე გამოცხადებით პროფესიული სტუდენტი ადასტურებს, რომ ის იცნობს მისი ჩატარების წესებს;
- განმსაზღვრელ შეფასებაზე დაგვიანება განიხილება გამოუცხადებლობად;
- მოდულის კრედიტები ათვისებულად ითვლება მოდულის ყველა სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში.
- განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთხელ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში.
- შეფასების პროცესამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს/სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს.
- სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად - ერთი ინსტრუმენტით.
- პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის კოორდინატორი ვალიდაციის პროცესში რთავს მომიჯნავე სპეციალობის პროფესიული განათლების მასწავლებელს და/ან დარგის წარმომადგენელს და/ან მოწვეული სპეციალისტს, რომლებიც ახორციელებენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის კოორდინატორი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას.
- ხარვეზების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შესწორებული სახით.
- შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება პროფესიულ სტუდენტის შეფასების მიზნებისათვის.
- განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე, ერთხელ მოითხოვოს სწავლის შედეგ(ებ)ის/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ის მიღწევის დამატებითი შეფასება, თუ დამატებითი მოთხოვნები შეფასების ინსტრუმენტში გაწერილი არაა.

- **განმსაზღვრელ შეფასებაზე არგამოცხადების შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს;**
- **საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს: ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ოჯახის წევრის გარდაცვალება, პირადი განცხადება (მიზეზის მითითებით) - წინასწარი თხოვნა შეფასების თარიღის გადატანის თაობაზე ან სხვა ობიექტური გარემოება, რაც დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი ცნობით;**
- **სწავლის შედეგების დადასტურებისათვის განკუთვნილ შეფასების საათებზე დამაკმაყოფილებელი შეფასების ვერ მიღების შემთხვევაში, მოითხოვოს გადაბარება მხოლოდ ერთჯერ პროგრამის დასრულებამდე, თუ მის მიერ დაუდასტურებელი მოდული არ არის სხვა მოდულების წინაპირობა, ხოლო წინაპირობის არსებობის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია დაადასტუროს სწავლის შედეგები სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (7 დღე), შეფასებისთვის გამოსაყენებელი სახარჯი მასალის გამოყენების შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია დაადგინოს განმეორებითი შეფასებისთვის საფასური ინდივიდუალურად;**
- **სწავლის შედეგების არ/ვერ დადასტურება ითვლება სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად;**
- **წინაპირობის არარსებობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პროგრამის დასრულებამდე გონივრული ვადით ადრე (მინიმუმ 2 თვე) შეათანხმოს დაუდასტურებელი სწავლის შედეგის დადასტურების (განმეორებითი შეფასების) თარიღი ზეპირსიტყვიერად პროფესიული განათლების მასწავლებელთან და სასწავლო პროცესის მენეჯერთან.**
- **განმეორებით შეფასებაზე სტუდენტის არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად.**
- **შეფასებისას ტესტის გამოყენებისას, როდესაც პროფესიული სტუდენტი ვერ დაადასტურებს სწავლის შედეგს/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ს, მიზანშეწონილია განმეორებითი შეფასებისას უკვე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტით გათვალისწინებული კითხვები ნაწილობრივ შეიცვალოს. სასურველია დახურული კითხვების ნახევარი შეიცვალოს, ხოლო ღია კითხვები შესაძლებელია უცვლელი დარჩეს.**
- **შეფასების პრაქტიკული დავალება დაკვირვებით/პრაქტიკული დავალების გამოყენებისას, როდესაც პროფესიული სტუდენტი ვერ დაადასტურებს სწავლის შედეგს/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ს, შესაძლებელია განმეორებითი შეფასებისას გამოყენებული იყოს იგივე შეფასების ინსტრუმენტი.**
- **სწავლის შედეგის ვერდადასტურება, რომელიც გამოწვეულია არგამოცხადებით, განმეორებითი შეფასებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იგივე შეფასების ინსტრუმენტი.**
- **შეფასების ჩატარების თარიღის, ადგილის, დროისა და ფორმის შესახებ პროფესიულ სტუდენტებს ეცნობებათ პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ 5 დღით ადრე;**
- **პრაქტიკის ობიექტზე სწავლების შემთხვევაში (კოოპერატიული სწავლებისა და საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში შეფასების შემთხვევაში) შუალედურ და საკვალიფიკაციო გამოცდებზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი, რომლის მონიტორინგსაც ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი.**
- **შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება ინდივიდუალურად, ხოლო პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია ტარდება კონსულტაციის ფორმისა და მითითებული ვადის გათვალისწინებით.**

სასწავლო
მოდული

- **პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.**
- **შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია დირექტორის მიერ საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.**
- **მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით;**
- **სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებშიც: ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა); ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურებით;**
- **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური პროგრამა) საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი მენტორი/ინსტრუქტორი.**
- **კოლეჯსა და საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, განრიგის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტი მუშაობს კომპანიაში/საწარმოში ინსტრუქტორის ზედამხედველობის ქვეშ, აწარმოებს სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, რომელსაც ამოწმებს ინსტრუქტორი და მიღწევის შემთხვევაში, უდასტურებს სწავლის შედეგებს, რასაც სტუდენტი შერჩევით ადასტურებს შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის დროს.**
- **დუალური პროგრამების შემთხვევაში შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.**
- **შუალედურ გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა დამატებით შუალედურ გამოცდაზე გასვლის უფლება ერთჯერადად შესაბამისი განცხადებისა და გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო დამატებით შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და მიეცემა ცნობა გავლილი პროგრამის შესახებ.**
- **დუალური პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.**
- **საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება თეორიული და პრაქტიკული გამოცდის სახით და საგამოცდო თემატიკა არ სცილდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.**

- **შეფასების ჩატარების თარიღის, ადგილის, დროისა და ფორმის შესახებ პროფესიულ სტუდენტებს ეცნობებათ პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ 5 დღით ადრე;**
- **შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტეთა ინფორმირება ხორციელდება ინდივიდუალურად, ხოლო პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია ტარდება კონსულტაციის ფორმისა და მითითებული ვადის გათვალისწინებით.**
- **პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან/სასწავლო პროცესის კოორდინატორისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.**
- **შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია დირექტორის მიერ საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.**
- **მოდულის დასრულების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებლები შეკრებილ მტკიცებულებებს შენახვისა და ელექტრონულად აღრიცხვის მიზნით, გადასცემენ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირს. მის მიერ შეგროვებული მტკიცებულებები უნდა იძლეოდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და ინახება სტუდენტის პორტფოლიოში.**
- **პროფესიულ სტუდენტთათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის განხილვის დროს სასწავლო პროცესის სპეციალისტი შეგროვებულ მტკიცებულებებს სტუდენტთა პორტფოლიოს სახით წარუდგენს სარევიზო კომისიას, ხოლო შემდეგ მტკიცებულებები სტუდენტთა პორტფოლიოს სახით გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით.**
- **შეფასების მტკიცებულებები, სტუდენტთა პორტფოლიოები დაცულია კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - უვადოდ;**
- **შეფასების მტკიცებულებები, (სტუდენტთა პორტფოლიოები) 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის ბრძანება № 48/ნ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი (შემდგომში – წესი) ადგენს იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების პროცედურას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.
- დადასტურება გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ფორმალურ დამოწმებას.
- ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების სისტემა უნდა იყოს: ა) ვალიდური; ბ) სანდო; გ) გამჭვირვალე; დ) სამართლიანი; ე) ობიექტური.
- კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის პროგრესის შეფასებას.
- შეფასება არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი. ამასთან, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში გამოიყენება არადიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება.
- განმსაზღვრელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევას ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგებთან მიმართებაში.
- განმავითარებელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას, მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გამოიყენება პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მიზნებისათვის.
- პროფესიული სტუდენტი ფასდება შეფასების ტაქსონომიის გამოყენებით თითოეული თემის კონტექსტში და სწავლის შედეგებთან მიმართებაში.
- ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების მიზნებისათვის პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მიღწევების შეფასების კონვერტაცია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ხდება მოდულის დასრულებისთანავე, ამ წესის დანართით გათვალისწინებული ათქულიანი სისტემით ოთხი დონის მიხედვით.

სხია კოლეჯი
მოდული

- ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების მიზნებისათვის გამოიყენება დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები: ა) მოდულის ქულა – პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მიღწევების დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება; ბ) საფეხურის ქულა – პროგრამაში ინტეგრირებულ ზოგად მოდულებში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული; საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით.
- მიმართვის შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია, მიმართვიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, ამავე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით დადგენილი წესის შესაბამისად გასცეს პროფესიული სტუდენტის ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში აკადემიური მიღწევების ამსახველი დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების ცნობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი ერთსა და იმავე სწავლის შედეგთან მიმართებით რამდენიმე კომპლექსურ დავალებას ასრულებს. თითოეული თემის ფარგლებში სავალდებულოა ყველა სწავლის შედეგზე მუშაობა (კომპლექსური დავალებების საშუალებით).
- შეფასებისას, სავალდებულოა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალების გამოყენება. დასაშვებია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთი კომპლექსური დავალებით შეფასება.
- კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა ეფუძნება ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომიას.
- კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პორტფოლიოს სრულფასოვნად შევსებისათვის აუცილებელი აქტივობების განხორციელება.
- საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს სწავლის შედეგის მიღწევის განმეორებითი შეფასების ორგანიზება, მის მიერ დადგენილი წესით.
- პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, კომპლექსური დავალების შეფასებიდან დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ვადაში, პორტფოლიოში ასახოს სტუდენტის პროგრესის ამსახველი მტკიცებულებები.
- პორტფოლიოში პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან 5 წლის განმავლობაში.
- პორტფოლიო შეიცავს შემდეგ მონაცემებს: ა) პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი ან პასპორტის ნომერი (არსებობის შემთხვევაში); ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება; გ) ინტეგრირებული მოდულის სახელწოდება; დ) თემის დასახელება; ე) კომპლექსური დავალების შინაარსი და ნომერი; ვ) პროფესიული სტუდენტის მიერ კომლექსური დავალების შესრულების მტკიცებულება; ზ) პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასება და მიცემული უკუკავშირი; თ) კომპლექსური დავალების მიცემის, შესრულების და პორტფოლიოში მისი განთავსების თარიღები.
- ინტეგრირებული ზოგადი მოდული დაძლეულად ჩაითვლება, თუ ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მიღწეულია.
- სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული ყველა კომპლექსური დავალება შეფასებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ და მათგან მინიმუმ ერთი შეფასებულია მიმართებით ან აბსტრაქტულ დონეზე
- პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წინაპირობაა თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევა.

- **პორტფოლიოში წარმოდგენილი სტუდენტების მიღწევების ამსახველი მტკიცებულებების განხილვის და მისი ვერიფიკაციის საფუძველზე, კოლეჯში დირექტორის ბრძანებით შექმნილი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისია (შემდგომში – დადასტურების კომისია) ადგენს, რამდენად მოხდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს: ა) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება; ბ) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა ვერ დასტურდება**
- **პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დადასტურდება, თუ პორტფოლიოში წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი ყველა ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.**
- **დადასტურების კომისიის მიერ გაკეთებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია კოლეჯის მიერ მიერ დადგენილი წესით გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება.**
- **დადასტურების კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. 27. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ კოლეჯის წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.**
- **დადასტურების კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან**
- **დადასტურების კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა.**
- **დადასტურების კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.**
- **დადასტურების კომისიის წევრი უფლებამოსილია მისი განსხვავებული მოსაზრება წერილობით დაურთოს ოქმს.**
- **კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს დადასტურების კომისიის მიერ ვერიფიკაციის პროცესის სრულფასოვანი განხორციელების ხელშეწყობა.**
- **კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების პროცესის თაობაზე.**
- **დადასტურების კომისიის მიერ გაკეთებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია კოლეჯის მიერ დადგენილი წესით გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება.**

არადიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება	დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება		
	ქულები	შეფასების დონეები	შეფასების დონეების აღწერა
აბსტრაქტული დონე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ბაზისური ცნებების სტრუქტურის განზოგადება და აღქმა სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვიდან; იდეების გადატანა ახალ კონტექსტში; ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკული გაანალიზება ან თეორიის ჩამოყალიბება.	აბსტრაქტული დონე გათანაბრებულია დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების სკალის უმაღლეს ქულასთან -10.		
მიმართებითი დონე პროფესიული სტუდენტი საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.	10	მაღალი	პროფესიული სტუდენტი საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.
	9		
	8	საშუალოზე მაღალი	პროფესიული სტუდენტი საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.
პროფესიული სტუდენტი საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.	7		
	6	საშუალო	პროფესიული სტუდენტი მსჯელობს საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.
პროფესიული სტუდენტი მსჯელობს საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.	5		
მულტისტრუქტურული დონე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული რამდენიმე ასპექტის გამოკვეთა განცალკევებით; მათ შორის კავშირისა და მიმართებების ჩვენების გარეშე.	4		
	3	დაბალი	
	2		პროფესიული სტუდენტის მსჯელობა საკითხთან დაკავშირებით ზედაპირული და არაარსობრივია.
უნისტრუქტურული დონე			
პროფესიულ სტუდენტს შეუძლია შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა; მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება. პრესტრუქტურული დონე პროფესიულ სტუდენტი საკითხზე მსჯელობისას იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას.	1		

პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების შეფასების სისტემა

- პროფესიული მომზადების პროგრამებსა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებისას გამოიყენება განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასება.
- განმავითარებელი შეფასება პროგრამის განმახორციელებელი პირის გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
- განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
- შეფასების მიზანია საშუალება მისცეს შემფასებელს განსაზღვროს, შეუძლია თუ არა მსმენელს სპეციფიკური აქტივობების კომპეტენტურად შესრულება.
- სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შესაბამისად. შეფასება შესაძლებელია როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე პროგრამის დასრულებისას.
- პროგრამის დასრულების მიზნებისთვის დადებითად უნდა შეფასდეს პროგრამის ყველა სწავლის შედეგი.
- სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
- შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებში

სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები

- კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის(საჭიროების შემთხვევაში), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

- საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.
- სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში პროფესიული მოდულის პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს დირექციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო საჭიროებ (ებ)ის შესახებ.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ მტკიცდება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის საჭიროებების და სხვ. შესახებ ინფორმაციას დირექციას წერილობით აცნობებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ივსება. გაცდენები, შეფასებები, დახასიათება და ა. შ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აზუსტებს ამ დოკუმენტებში არსებული მონაცემების საფუძველს.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: ა) მიმართოსსწავლების განსხვავებულ ხერხებსადა სტრატეგიებს; ბ)შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; გ)სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; დ)განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; ე)საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; ვ)გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული;

კვალიფიკაციის მინიჭება, პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის გაცემა, სერტიფიკატის გაცემა.

- კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯი ,,მოდუსის“ დირექტორის პრეროგატივას შეფასებისა და კომპეტენციათა დადასტურების დოკუმენტაციის სარევიზიო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე;
- პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის კრედიტების ათვისება, შედეგების დადასტურება და ხოლო დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დამატებით პირობას წარმოადგენს შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება
- შეფასებისა და კომპეტენციათა დადასტურების დოკუმენტაციის სარევიზიო კომისია პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით, უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ გავლილი მოდულების და დადებითი შეფასებების მიღების ავთენტურობას, რომელთა მიღება პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელ პირობას წარმოადგენს
- შეფასებისა და კომპეტენციათა დადასტურების დოკუმენტაციის სარევიზიო კომისია იქმნება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე;
- შეფასებისა და კომპეტენციათა დადასტურების დოკუმენტაციის სარევიზიო კომისიის სხდომის მდივანი (იურისტი) დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ბრძანების პროექტს პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.
- კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ პროფესიულ სტუდენტზე გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის განმსაზღვრელი პროფესიული დიპლომი, შემდეგი წესით: სტუდენტებისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ კოლეჯის დირექტორის ბრძანება ეგზავნება კოლეჯის IT სპეციალისტს. IT სპეციალისტი ბრძანებაში მითითებულ თითოეულ სტუდენტზე ავსებს დიპლომს, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დიპლომის ფორმის შესაბამისად და გასცემს კურსდამთავრებულებზე მათი მოთხოვნის საფუძველზე, რაც დასტურდება დიპლომების გაცემის ჟურნალში დიპლომის მიმღების ხელმოწერით. დიპლომთან ერთად გაიცემა შესაბამისი დანართი, რომლის ფორმაც განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით. კოლეჯის მიერ შესყიდული დიპლომის ფორმის დაზიანების/გაფუჭების შემთხვევაში, ხდება მისი ჩამოწერა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
- სსსმ/შშმ პირი, რომლის მიერ ვერ იქნება ათვისებული პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო მოდულის სწავლის შედეგები, ითვლება კურსდამთავრებულად და მასზე გაიცემა პროგრამის გავლის დამადასტურებელი ცნობა, მოთხოვნის შემთხვევაში დაძლეული სწავლის შედეგების მითითებით.

სსიპ კოლეჯი
მოდუსი

კოლეჯის მიერ შესყიდული დიპლომის ფორმის დაზიანების/გაფუჭების შემთხვევაში, ხდება მისი ჩამოწერა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

- **მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამებისა და მოკლევადიანი პროფესიული კურსების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულზე გაიცემა სერტიფიკატი, შემდეგი წესით: პროგრამების/ კურსების დასრულების და მსმენელებისთვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება ეგზავნება IT სპეციალისტს. IT სპეციალისტი ბრძანებაში მითითებულ თითოეულ კურსდამთავრებულზე ავსებს სერტიფიკატს და გასცემს კურსდამთავრებულებზე მათი მოთხოვნის საფუძველზე, რაც დასტურდება სერტიფიკატების გაცემის ჟურნალში სერტიფიკატის მიმღების ხელმოწერით. სერტიფიკატებისთვის ნომრების მინიჭება ხდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული წესით. მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების სერტიფიკატის ფორმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. სერტიფიკატთან ერთად გაიცემა შესაბამისი დანართი, რომლის ფორმაც განსაზღვრულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. ხოლო არაფორმალური განათლების მოკლევადიან კურსებზე გაიცემა კოლეჯი მოდუსის სერთიფიკატი. მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების სერტიფიკატის ფორმის დაზიანების/გაფუჭების შემთხვევაში, ხდება მისი ჩამოწერა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.**
- **სსსმ/შშმ პირი, რომლის მიერ ვერ იქნება ათვისებული პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო მოდულის სწავლის შედეგები, ითვლება კურსდამთავრებულად და მასზე გაიცემა პროგრამის გავლის დამადასტურებელი ცნობა, მოთხოვნის შემთხვევაში დაძლეული სწავლის შედეგების მითითებით.**
- **პროფესიულ სტუდენტებს, რომლებსაც შეუწდათ / შეუჩერდათ სტასტუსი ან სრულად გაიარეს სასწავლო პროგრამა და ვერ დაადასტურეს სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგები სრულად არ ენიჭებათ კვალიფიკაცია, არ გაიცემა მათზე დიპლომი, თუმცა უფლება აქვთ მოითხოვონ ცნობა მათი აკადემიური მოსწრების შესახებ.**

სსიპ კოლეჯი

მოდუსი

საკონტაქტო ინფორმაცია



საქართველო, ქ.რუსთავი, ჟ.შარტავას გამზ. N4;
საფოსტო ინდექსი: 3700

საქართველო, ქ.მარნეული, იალღუჯის
დასახლება საფოსტო ინდექსი: 3000

(+995) 577 408 734

info@modusi.ge

www.modusi.ge

www.facebook.com/modusi.ge/